

შინაური საქმეები

№ 19.

კვირა, 16 მაისი 1910 წ.



ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: საღვრის ბერობა? — ხელისა; ულოლიკო ტაქტიკა. — ქ. გელოვანისა; ენის გაჩენა. — ტ. ჯაფარიძისა; ქართული გალობა. — მღ. რ. ხუნდა-

ძისა; კვირიდან კვირობამდე. — ჰილარტეს განჩინება იესო ქრისტეს ჯვარცმის თაობაზე. — არხ. ნესტორისა; პატარა ქრისტიანი. — მადლობის გამოცხადება რედაქციის პასუხი.

ყოველკვირეულ გაზეთ
„შინაურ საქმეებს“

ხელის მწვერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის პაწარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დისაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

საღვრის ბერობა?

თანამედროვე სწავლეულები უარს ჰყოფენ ბერობას და ბერებს მუქთა მჭამელებს ეძახიან. ასეთი აზრი შემდგარია თუ ავიღებთ ნამდვილ ბერობას, იმ ბერობას რომელიც იყო ქრისტიანობის აქროს ხანებში; ხდლო იგავე აზრი სრული ჭეშმარიტებაა, თუ მხედველობაში ვიჭინებთ იმ ბერობას, რომელსაც დღეს შევეუბრებთ, იმ ბერებს რომელნიც დღეს ამშვენებენ ჩვენ შინაურებს. მართლა და რას წარმოადგენს დღეს ეს საცოდავი ხალხი? იუქრობ და ვერ გამოგირვევია, თუ რათ მიუღიათ მათ ეს აჩუკოსებ რივი სახე? მისთვის რომ თავ-დავიწყებთ მიეცენ სულაერსა და ხორციელ შრომას, ემსახურნ ქრისტიანულ ძმთ-მოყვარეობას, აჩვენონ მაგალითი მოთმინებისა და უმაღლესი ზნეობრივი სიფაქიზისა, თუ იჭორიანონ, იცილიანწამონ, იმცონარონ, აჩვე-

ნონ მაგალითი ძმთ-მოძღვრობისა, ზნეობრივი დაცემისა და გათასირებისა. შეიხედეთ ჩვენ მონასტრებში და დაუკვირდით ბერ-მონაზვნების ცხოვრებას, დაუკვირდით მათ ყოფა ქვევას და ნახეთ, რა ზომამდი დაცემულია ზნეობით და გონებით ეს საცოდავი ხალხი. მიზეზი ასეთი გათასირებისა ჰირველ უოფლისა არის სიზარმაცე, უსაქმობა გონობრივი და ფიზიკური. თანამედროვე ბერი არაფერს წერს, არაფერს კითხულობს, არ მუშაობს ყანაში, ბოსტანში, ვენახში, ცუდათ ატარებს თავისუფალ დროს და არა თუ ცუდათ, ჰირდაჰირ მავნებლადც. თანამედროვე ბერი იმდენათ უვიცია თავის სიფრთაშიც, რომარი წმიდანის ამბავს ვერ მოგვიყვება, თავის მონასტრის ამბავს ვერ გეტყუვის, ბერობის მიზანსა და მისწრაფებას ვერ ავიხსნის; თუ დანიშნული ღოცვები ამოკითხა და წირვა ღოცვას ეკლესიაში დაესწრო, თავის მოკაღლობა შესრულებული ჭგონია და ღოგინზე კოტრიალისა და ჭორიკანობის მეტს აღარაფერს აკეთებს.

ფიზიკური შრომისგან დმერთმა დაიფაროს. არა თუ ბერი და ღვინო მოიუფანოს, ქინძი ვერ დაუთესია, რომ ცოდავით ნაუდი ღობიო შეიკაზმოს და მიირთვას. ხე ვერ დაურგავს, რომ დაინდილოს, სახლი ვერ დაუსუფთავებია, რომ უცხო მწერებმა არ შეაწუხოს, ტანსაცმელი ვერ დაურეცხა, ჰირი ვერ დაუბანია, რომ შარშანდელი მწვირე მოიცილოს. და ასეთ კაცს თავი დიდი ანტონის მეკვადრეთ მოაქვს, ასეთი კვაში მოღვაწეობას ინიშებს! რა გასკვირვალაია, რომ ასეთმა ბერებმა თავი მოაძელოს საზოგადოებას. და თუ ყველა ამას დაუმტებთ შინაგან, ერთმანეთშორის, ინტრი-



განთავს, შურს, მტრობას, სხივრებს, ბეზღობას და სხვა ამ ვეგარ მარკალიტებს, რომლებიც ამკობენ ჩვენი ბერების გუნდებს, მაშინ არც ის ცაგვიკვრდება, რომ ზოგიერთებს ზირდაზირ სდაცს და ეზიზღება ბერი და მისი სხეულის ხსენებაზე ათასწილი დაიგრის—დაიმსჯება.

მცნარებაში ისეთ ნაირად მოცევა დღევანდელი ჩვენი მონასტრები, რომ მატროსან და მოქმედ ბერებს ვერ ითმენენ და თუ სადმე ერთი—ორი აღმოჩნდა, ცდილობენ მოიშორონ, გააძეონ, როგორც მათი მისგენებელი ცხოვრების შემსწოთელი მტრები.

უველა ამასთან მთავრობის მოყვარობას, გამეფების, გაბატონების სურვილს და მისწრაფებას ფართო ალაგი უჭირავს მათ გულში. (ჩინი და ჯილდობი ისე ხარებს მათ, როგორც კაი თავმოქმენე აფიცრს. თანამ დროვე ბერი არაფერს არ დაზოგავს, რომ ჯილდო არ ასცდეს, უველაფერს იკადრებს, ოდნო ერთი ჩინით წინ დადგეს თავის ამხანაგებს. მთავრობაც არ იზოგავს თავს და აჩინოვნიკებს ბერებს, რითაც შეიძლება.) რათა? რა სამსახურის გულისთვის? ბერობის სხეულის დამცირებისთვის, თუ მცნარებისთვის და უძებნებისთვის?

ამას წინეთ ბ. რამზოლას უკვირებს, რათ რამე სთქვი დარის მონასტრზე და მისქმებზეო. იქნებ ჩვენც გვიკვირებენ, მაგრამ დავარწმუნებთ უველას, რომ, როგორც რამზოლას, ისე ჩვენც, არ მოკვდის ეს სიმძულვარისი გამო. სულთ და გულთ გვეწურია ვიხლოთ განსაღებული ბერობა, გაბრწვნივებული მადლ-მოძიენი მონასტრები, ძველი ვარძია, ძველი გარესჯა, ძველი გელათი. მაგრამ განა შეიძლება დარის მონასტრმა რამე ასეთი მოკვცეს? აბა მიბრძანეთ, რომელ სუკუნეში და რით ისხელას თავი ამ მონასტრის ქმება? სად არის მისი განებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური ნაწარმოები? რამელი მხათობი შობა ქრისტიანულ ზნეობისა ან საღვთისმეტყველო დიტურატურისა. ეს მონასტერი, თუ ადგილის სივარწროვის გამო ფიზიკურ შრომას ვერ ეწევა, განებრივად მანც უნდა შრომობდეს, რადგან ადგილიც ხელს უწევს ასეთი შემოაბისთვის, მაგრამ მიბრძანეთ, რა გააკეთა ამ მხრე მონასტრმა დღიდან თავის და-

არსებისა. და რომ ეს მონასტერი ვერაფერ ზნეობის სავარჯიშო ადგილს წარმოადგენს თავის მდებარეობით შეაგულ ქალაქში, ამაზე უფლებლად უველა დამემწმება. მაშისდაკე მართლს ბრძანებლ რამზოლას, რომ დარის მონასტრის შესახახი ხარჯი ტუვილა იკარგება ძმათათვისც და სოზოკადობისათვისაცო. ასთი სომართლის თქმა მას ეწეინება, ვისაც ხელს არ აძლევს ნამდვილი მოღვაწეობა—შრომა და ღოცვა, ვისაც მონასტრები თავისუფალ მოქმედების ბუელი მიაჩნია. რამ ჩვენში ნამდვილი მოღვაწეობის სული ტრიალებდეს, ისეთი მონასტრები, როგორც არიან შიომღვიმე, დავით გარეჯა და სხვა მიწაწელიანი მონასტრები ცარიელები განა იქნებიან? მაგრამ განქრას სული ბერობისა. უწინდელი ბერი თუ უდაბნოს ეფარებოდა, ეხლანდელი ქალაქებში მიისწრაფვის, სადაც მეტი ხმაურობაა, მეტი შოთი და აურზაურია, მეტი ზნეობრივი დაცემა და გათასირება; და მიისწრაფვის არა მისთვის, რომ კეთილ მოქმედებითი გავლენა იქნობის მასზე, არამედ რათა თითმანც საერთო ფერხულში ჩაებას; უწინდელი ბერი თუ ზნეობრივ, სარწმუნოებრივ და განებრივ ნათელს ჰფენდა ირგვლივ, დღევანდელი სიბნელესა და სიჩღურს ჰფენს; უწინდელი თუ დიდიდგან სადამომი განუწევეტელ ფიზიკურ, განებრივ და ზნეობრივ ვარჯიშობაში იყო, დღეს წინააღმდეგ ცუდაობაში და ტორიკანობაში ატარებს დროს. აი ეს გარემოება გვიკლავს გულს, ეს ამბავი გვათქმევინებს იმ მწარე და ცრემლით სავსე სიტყვებს, რომლებიც შხამ-წასმულ ისარავით ხვდება ხარისხის დამამცირებელ ბერების გულს. ჩვენი ბერები და საბეროები თავის ანგელისებრივ სხეს მაშინ დაუბრუნებენ დიდებას და დავარჯულ სიმშატას, მაშინ დაიშასურებენ სოზოკადობის სიყვარულს და განწეობილებას, როცა ნამდვილ მოღვაწეობად გამოჩნდებიან, როცა უდაბნოებს აყვავებენ და განაყოფიერებენ, როცა უსალი ათონის ძმებმა, თვით სამთხედ აქცვენ მონასტრის მადამოებს. ჩვენც გვაქვს მთავრადილ მიერეული უდაბნო მონასტრები, მდიდარი მიწაწელით გარშემორტყული, რომელნიც უღიან თავდადებულ ღვთის მოყვარე მუშაკს და მზად არიან ადუგადენ ძველებური ბრწვინალებით და ძველებურადვე მადლი ჰფინონ დღეს უოველი მხრით დანარჯულ-დაბუნებულ საქართველოს. აი სათი ვუთითებთ, ჩვენ ნამდვილ მოღვაწეებს, ნამ-

დვილ ბერებს. ან რა მოღვაწეობა დაუბრუნებს მათ დაკარგულ დიდებას და დაუმისხურებს საზოგადოებისა და ხალხის საყვარულს და უურადღებს. მაშინ ბ. რამზალაძე და ჩვენც მუხლს მოვიადრეკთ ასეთ მოღვაწეების წინაშე და ნადავ ახდელი გაუმჯობესებთ ღირსი მონასტრის ძეგლებს ჩვენ ვინაობას და მათთან ერთად ვიდგესასწაულებთ ბერობის აღდგენას. დღეს კი ნუ გვიწევენ, გული გვტკივდავს თანა მდრდვე ჩვენ მოღვაწეებზე და უფრო იმთხზე, ვინც მოწოდებულაა წინ უძღვეს ამ მოღვაწეობას, ე. ი. წინამძღვრებზე, რომლებსაც ხანდისხან სავალდებულოთ არ მიანათ თავის მონასტერში ცხოვრება...

ხელი.

უღლოთ ტაბიკა.

ყოველ გვარ მოქმედებას ადამიანისა, როგორც კერძო ერთეულისა, ისე ერთბაშ ბევრეულისა, წინასწარ შემუშავებული, საღ ჰკუა-გონების კრიტიკაში გატარებული აზრი უნდა ედგეს საფუძვლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ გვარი მოქმედება, ასეთ საფუძველს მოკლებული, საზარლო თამაშობაა, უქკუო საქციელია. ამ თვალსაზრისით, გავატაროთ საღი ჰკუა-გონების კრიტიკის ცხრილში ის საკითხი, თუ რომელიჯურის ჰკუა-გონების კრიტიკაში იყო გატარებული ის აზრი და ტაქტიკა, რომლითაც ჩვენ მდაბო ხალხს ღმერთზე, რჯულზე, სულის უკვდავებაზე უარი აყოფიეს და მიუხიეს მადალ წოდებას ამისაწყვეტლად. რამდენიც უნდა ვეცადოთ, რამდენიც უნდა ვიკვლიოთ, საღი ჰკუა-გონებისაგან მისაღებ ზრს ვერა ვპოვებთ ამ ველურ ტაქტიკაში. თვალსაჩინო დიღებმა მხოლოდ ის არის, რომ ამ ტაქტიკის დედა აზრი, დედა მიზანი უნდა ყოფილიყო გურჯულოება, გაველურება, გაშმაგება ჩვენი მშვედობიანი და მართლმორწმუნე ხალხისა და საერთოთ მოსპობა ქართველ-მადალ წოდების კლასისა, მაგრამ ურჯულოებით, იმ რწმენით, რომ

როგორც პირუტყვებს, ისე ადამიანებს, არა აქვსთ მეორე მსოფლიო, სულიერი არსებობა და სიკოცხლე, -სასულიერო წოდებისა და თავად-აზნაურთა მოსპობით ჩვენს მდაბო ხალხს რომელი ჯურის კულტურული პროგრესი უნდა მოეპოებია?! ან მათი წანართმევი ნაპარტალით რომელი გვარის მატერიალური კეთილ დღეობა?!-ჯერ ჩვენ სასულიერო წოდებას და თავად-აზნაურობას რა აქვს, რომ მათმა წანაგლეჯმა ჩვენი გლეხობა ნივთიერი მხრით ფეხზე დააყენოს?!—ვინ არ იცის, ვინ არ არის მათე დარწმუნებული, რომ მომხდარი საშინელი ბარბაროსული აქტები, ნაყოფი ჩვენი მდაბო ხალხის არა ნორმალური მოქმედებისა, მათი საკუთარი გონებისა და მოსაზრების ნაყოფი არ არის. მაშ ვისიო, იკითხავს ჩემი მკითხველი. საზოგადოების უმეტესი ნაწილის პსუხია: სოციალისტებისო. მაგრამ მე პირადად შორსა ვარ იმ რწმენ ზე, რომ ნამდვილ სოციალისტებს, რომლებთაც შეგნებული აქვსთ სოციალიზმის, დედა აზრი ეშესაბამებოდეს ესეთი ბრალდება. ბრალი ჩემი აზრით იმათ ხედრად მიმაჩნია, ვინც თავიანთი თავი ჩვენ მდაბო ხალხში სოციალ სტეხად მონათლეს და სოციალიზმი კი სასმელი იყო თუ საქმელი, თავლი იყო თუ შხამი, მისი არა გაეგებოდათ რა.—სოციალიზმი, როგორც მოგვხსენებათ, უმადლესი ფილოსოფიური სწვლაა. ესწვლა იქამდის მღლია, იმზომი სარგებლობის მომტანია ადამიანთა ძმურად ცხოვრებისათვის, რომ, თუ არ ვსცდები, თვით მაცხოვარმაც კი ღირს ჰყო ადვილი მიეცათვის ღვთაებრივ სწავლა მოძღვრებაში. *) სოციალიზმს სხვათა შორის საგნადა აქვს გამრავლება, გადიდება ადამიანთა საზოგადოებას სცხოვრებას ღონისძიებათა, რომ მთელმა კაცობრიობამ ნივთიერი მხრით მიახწიოს თანასწორ კმაყოფილებასა და ბედნიერებას. სოციალიზმი შორს არის იმ ქვენა აზრზე, რომ ერთის წანართმევით მეორე გაამდიდროს, ერთის დამშევით მეორე გააძლოს, ერთის გა-

*) ამაში რედაქცია ვერ ეთანხმება ბ. თანამ- შორ მელს.

უბედურებით მეორე გააბედნიეროს, ერთის სიკვდილით მეორე აცოცხლოს. სოციალიზმი ასწავლის კაცობრიობას: სიკეთეს, სისრულეს, წარმატებას, ზნეობრივ სიფაქიზეს, ამაღლებას, სიყვარულს ძმობას, ერთობას, თანასწორობას; ასწავლის აგრეთვე რომ ხალხში სუფევდეს სწორი მიუდგომელი მართლ-მსაჯულება, რომ ადამიანთა ცხოვრებას ნათელს ჰფენდეს წმინდა სამართალი, რომ ადამიანთა კრებულს ასხივცისკროვნებდეს ერთბაში უმაღლესი ზნეობა და გონიერება, განათლება და სრული ადამიანური თავისუფლება და სხვა და სხვა... მოკლედ რომა ვსთქვათ, სოციალიზმის დევიზია: საერთოდ მთელი კაცობრიობის კეთილ წარმატებით ცხოვრების შექმნა და არა რომელიმე წოდებისა ანუ კლასისა... ეხლა შეუდარეთ ეს სოციალიზმის მცნებისა ნაწყვეტი ჩვენი სუტო-სოციალისტების და მათი აგენტების მოძღვრებასა და ტაქტიკას და მიზრძანეთ, აქვსთ მათ ურთიერთშორის რაიმე ნათესავობა თუ არა? გაუვლიათ ამ თავიანთ თავის სოციალისტებად მსახველთ სოციალიზმის შკოლის პირველი კლასი მაინც თუ არა?—მაგრამ ამაზე თქვენ რაღათ უნდა გაგსაჯოთ, ჩემო მკითხველნო, როცა ამ საკითხის პასუხს თვით მათი ნამოქმედარი გვაძლევს: უმეტარ ბრბოთა ამხედრება გათვით ცნობიერებულ ადამიანთა კლასის მოსასპობლად, ველური ძალმომრეობა; თავ-დასხმა ხოცვა-ჟლეტვა, კაცის მკვლელობა გამრავლება, დაწვა; სარჩო საცხოვრებლის წართმევა, განადგურება; პირადი ადამიანური ღირსების გაქლევა, დამდაბლება, ზნეობრივად გამხეცება-გაპირუტყევა უმისოდაც ზნეობრივ სიმაღლეს მოკლებულ ხალხისა; აი რაში გამოხატეს მით სოციალიზმი.

რასაკვირველია, ყოველივე ეს ნაყოფია იმ უმეტარებისა, რომ სრულიად შეუგნებელნი სოციალიზმის დედა აზრისა გამოვიდნენ ასპარეზზე მის განსახორციელებლად ცხოვრებაში. მაგრამ მათმა ტაქტიკამ და ლოზუნგებმა, რაღა თქმა უნდა, სოციალიზმი საზიზღარ მცნებად გახადა და ჩვენი ხალხიც საერთოდ დაღუპა... ეხლა ცოტაოდენი ადგილი დაუთ-

მოთ, ჩემო მკითხველო, შემდეგ კითხვასაც: წავარაგვთ სოციალიზმს თავისი საკუთარი აზრი, სული და გული და მივსცეთ მათ შაგიერ სულ სხვა? ვსთქვათ სოციალიზმის მცნება გვაგმობდეს: იზარეთ, იმრუშეთ, იყაჩაღეთ, მოკალი შენი ძმა და მისი საცხოვრებელი შენ დაიკავე; უარ ჰყავით ღმერთი, სჯული ყოველი გვარი სულიერი და ზნეობრივი სიწმინდე, სიმაღლე — უარჰყავით საკლავი საქონლის და ადამიანის სხვადასხვაობა, ორივე ერთ გვარათ დაკალით, შეწვიოთ, მოხარშეთ, ხორცი ორივესი ერთია, დაჯედით და გაიძლეთ კუჭი და ბედნიერიც მაშინ იქნებით;.. მივიღებთ შევითვისებთ ამ მოძღვრების მცნებას, ვეცდებით ნის განხორციელებას ჩვენს ცხოვრებაში?—აღვასრულებთ ყოველივე ამას? შენ რა პასუხს მომცემ მკითხველო, მე ეს არ ვიცი, და ფაქტი რა პასუხსაც მაძლევს ამ მწვავე საკითხზე, იმის გამოთქმა შავს წერტილებს დავუთმოთ სჯობია.....

დ. გელოვანი.

ენის გაჩენა.

ერთი უპირველესი იარაღი კაცობრიობის კულტურული წინმსვლელობისათვის არის ენა, ენა არის საშუალება, განსაკუთრებით რომლის შემწეობითაც კაცობრიობამ ყოველმხრივ გააუმჯობესა თავისი ცხოვრება და მრავალი საუკუნოების შემდეგ მოახწია იმ კულტურულ სიმაღლემდის, რომელზედაც ღლეს ვხედავთ მას ამგვარად, ერთი შესანიშნავი საკითხი კულტურის მეცნიერებაში არის ენა ანუ ყოველმხრივი გამომკვლევა და მეცნიერულად დასაბუთება ენის პარველად გაჩენისა და თანდათან განვითარებისა. რამდენათაც საყურადღებო საკითხია ენა, იმდენათ ძნელია მისი დანამდვილებით ახსნა. მიუხედავად იმისა, რომ ენის შესახებ ბევრი გამოკვლევა დაწერილა და ბევრს საუკეთესო მეცნიერს შეუწირავს მის ასახსნელად თვისი ძალღონე და დიდი ენერგია, ენა ყოველ

მხრივ კიდევ გამოუკვეველია. ბევრი თეორიები გამოიწვია ამ საკითხმა მეცნიერებაში და ისეთი უთანხმო და ერთი ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებები გამოსთქვეს მეცნიერებმა ენის შესახებ, რომ პირველი შეხედვით სწორედ საკვირველია. მაშინ როცა მაქს შულცის, ერთი საუკეთესო ფილოლოგის, აზრით ენა არის გამოხატველი კაცის აზროვნებითი ნიჭისა და მით (ენით) კაცი მძაფრად განიჩნევა ცხოველებისაგან, ¹⁾ შლეიხერა არაფერს შესანიშნავს და განსაკუთრებით საყურადღებოს არ ხედავს ენაში, ²⁾ ბუნების მეტყველი გიოქსილა კი განსაკუთრებით მნიშვნელობას ენის გაჩენა-განვითარებაში აძლევს კაცის სასას მოწყობილობას ³⁾ და ამ გვარი სხვა და სხვა აზრები არის მეცნიერებაში ენის შესახებ და ერთი განსაზღვრული შეხედულება ჯერ კიდევ არ შემდგარა.

თუმცა არ შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ, როგორ გაჩნდა ენა და როგორი იყო პირველი ენა კაცობრიობისა, მაგრამ მიუხედავად ამისა შეიძლება უზენოდ ისეთი პირობები, რომლებმაც გამოიწვია ენა — და ისიც წარმოვიდგინოთ თუ როგორ განვითარდა ენა თან და თან.

კაცის სულიერ ორგანიზაციაში ვხედავთ ასეთ პირობებს, რომლების შემწეობით კაცობრიობას ადრე თუ გვიან უნდა გაეჩინოს ენა და მით გაემკვლიოს გზა შომაგალი კულტურული განვითარებისათვის. ნიჭი ენის შექმნისა და მისთვის საჭირო პირობები ეკუთვნის კაცის ბუნებას, მხოლოდ მიზეზი (поводъ), რომელმაც აიძულა კაცი, რომ შეედგინოს ენა იყო გარგანივი, ცხოვრების სფეროიდგან. ამ გვარად ჩვენი მიზანია პირველად დავასახელოდ ის პირობები კაცის ბუნებისა, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იყო ლაპარაკი კაცისთვის და კიდევ შედგა ენა.

ენის გასაჩენი პირობების ასახსნელად

¹⁾ Гецдингъ. Очерки опытной психологii გვ. 195.

²⁾ М. Мюллеръ. Лекции по науке о языкѣ. გვ. 269.

³⁾ Ibidem. (გუბელდტის სტუკები 245.)

საზოგადოდ მეცნიერებაში ხელმძღვანელობენ ბავშვის ცხოვრების პირველ ხანაზე დაკვირვებით და ველურების ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით, რადგანაც უკანასკნელთა ცხოვრება კიდევ კულტურის ძირა საფუძვლებზე სდგას და ისტორიული პროცესის გავლენა მათ ჯერ არ გამოუცდიათ. ჩვენც ადგილად გვიღვინებთ ვისარგებლებთ ბავშვზე დაკვირვებით, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია ჯერ მოკლედ ვსთქვათ რაზღნათ შესაძლებელია ეს. საზოგადოდ, ბუნება ძველი კაცისა იგეთივე იყო, როგორც ეხლანდელისა. როგორც ეხლა იწყებს ბავში ენის სწავლას და თან და თან აგრძელებს ამას თვითონვე, ¹⁾ ისე პირვანდელი კაცი ცდილობდა შეექმნა ენა; როგორც ეხლა იჩენს ბავში დიდს ენერგიას ყველაფრის გაცნობაში, უქველად ისეთსავე ენერგიას იჩენდა კაცი პირველ დროშიაც. ეს ენერგია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა უნდა მივაწეროთ ენის შექმნის პროცესში, თანაშობილი თვისებაა კაცის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყოველი საგანი იზიდავს ბავშვის ყურადღებას. ბავშს სურს ყველაფერი, რასაც კი ხედავს ხელში იგდოს და თუ მოახერხა ეს, ათვალიერებს საგანს სანამდის არ შენიშნავს, რომ ის არ არის ახალი და უწინ გაუსინჯავს მას ²⁾ ამ გვარად არ იქნება შეცდომა რომ ბავშვის ცხოვრებაზე დაკვირვებით ვისარგებლოთ და ანალოგიურად გავსაჯოთ კითხვა პირველ დროში ენის გაჩენის შესახებ; მხოლოდ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეხლანდელს ბავშვს ენის ამოღებაში ეხმარება მემკვიდრეობით მიღებული თვისებები და უმფროსების გავლენა, თუმცა უკანასკნელ პირობას პირველ ხანაში განსაკუთრებით მნიშვნელობა მაინც და მაინც არ აქვს, როგორც ვუნდტი ჰფიქრობს, რადგან ბავში მიბაძვით არ სწავლობს ენას. ³⁾ ასე რომ ძველი დროის კაცი შედა-

¹⁾ О. Мильчевскій. Основанія антропологии გვ. 280.

²⁾ И. Тэнъ. Объ умѣ и познаніи гв. 379 და შექდეგი; შეადარე Каптеревъ. Изъ исторіи души გვ. 8, შენიშვნა.

³⁾ И. Тэнъ. Объ умѣ познаніи гв. 507. Прейеръ. Душа ребенка гв. 102-103

რებით ეხლანდელს ბავშვთა ენის შედგენისთვის მოკლებული იყო ზემოაღნიშნულს საშუალებებს, მაგრამ მათ არ ყოფას შეეძლო მხოლოდ შეეჩერებინათ კაცის შემოქმედებითი ჩალა ენის გაჩენისა და გაქცელების პირველი ნაბიჯი.

ასე რომ ანალოგია ანუ შედარება შესაძლებელია და რამოდენათმე ვისარგებლებთ.

როცა ბავში იბადება, ის უკვე ყვირის, ყვირლით იწყებს ბავში თავის ცხოვრებას, ამბობს გეფლინგი¹⁾. იბადება თუ არა ბავში, ჩვენ გვესმის რაღაც გაურკვეველი ხმები. საჭიროა ვიცოდეთ, რისგან წარმოადგება ხმა (ЗВУКЪ) და რა არის მისი მიზეზი, რომ ბავში იღებს ხმას.

ფიზიკამ დაამტკიცა, რომ ხმა (ЗВУКЪ) წარმოადგება მიუ, რომ რომელიმე საგანი ირყევა და ამ დროს მოძრაობაში მოდის ჰაერი, რომელიც იმყოფება იმ ნივთისა და ჩვენს სმენას შორის. ენის ხმები (ЗВУКИ РЪЧИ) კი წარმოსდგება სასას და მის ზევით მყოფი ორგანოების მოძრაობის გამო. როცა ბავში იბადება, ერთი ორგანიზმი მეორეს შორდება; ბავში ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის; ის სფერა ანუ მიდამო, რომელშიაც შედის ბავში დაბადების შემდეგ, სრულიად სხვა არის (შედარებით მასთან, სადაც ბავში იყო დაბადებამდის) და სხვა ნაირადაც მოქმედობს ბავშვზე. ეს სხვანაირი მოქმედება ამოძრავებს ბავშვს და სკინთავს მის ძარღვებს, სხვათა შორის სასის ძარღვებს და მათი მოძრაობა კი დრო გამოშვებით შლის ბავშვის ყელს ამით მოდის მოძრაობაში ჰაერი და ეს ისმის როგორც ხმა. რამდენათაც უფრო სლიერია ბავშვის მოძრაობა და რამდენათაც უფრო იკინთება ძარღვები, იმდენად ხმა უფრო მალაღი და გაუწყვეტელია. მიზეზი ბავშვის გადაშერებითი მოძრაობის კი უმეტესად ტკივილის გრძნობაა. ამ გვარად ხმის ამოღება თვისებაა ცოცხალი ორგანიზმის, კანსაკუთრებით კაცის და ცხოველების (აქვე იგულისხმება ფრინველებიც) ამისთვის თვითონ ბუნება აძლევდა

¹⁾ Компейре. Основания элементарной психологии гл. 137. შედარე Чистовичъ გვ. 109.

ნებას და თითქმის უთითებდა კაცს, რომ მას ესარგებნა ამით თავისი გრძნობის და სულიერი მდგომარეობის გამოსახატავ საშუალებად. რანაირად ისარგებლა კაცმა ამ საშუალებით ენის შესადგენად, მაშინ როცა სხვა ცხოველებს არ შეუძლიათ გადააბოჯონ ამას (ხმის ამოღებას და მით გრძნობის გამოხატვას) და შექმნან ენა? აქ იყო სხვა პირობები. ეს უნდა ავხსნათ იმ პროცესზე, თუ როგორ ვათარდება ბავშვის ცხოვრება და როგორ ეჩვევა ის ლაპარაკს ანუ როგორ სწავლობს ენას.

ბავშვის დაბადების მომენტიდანვე იწება მისი ახალი ცხოვრება, მთელი მიდამო ანუ ყველაფერი, რაც კი გარს არტყია ბავშვს, ახდენს მანზე გავლენას. ბავშვის მხედველობა, სმენა და სხვა გვარი ორგანოები ამა თუ იმ შთაბეჭდილებას იღებს საგნიდან და ეს ბავში იწვევს შესაფერ სულიერ მდგომარეობას. ამ მდგომარეობას ბავში ხატავს ბევრნაირ მოძრაობაში. მოძრაობა პირველ მარტივია და შემდეგ, როცა ბავში თან და თან იმორჩილებს თავისი ტანის ნაწილებს, მოძრაობა უფრო რთულდება და ადვილადაც სრულდება. მოძრაობის დროს ბავში რაღაც ხმებსაც გამოიღებს ხოლმე; ამ ხმებში ბავში ხატავს სიამოვნების და უსამოვნების გრძნობას. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ბავშვის სიცოცხლის პირველ ხანაში მოქმედობს გრძნობა და ინსტიქტი. ¹⁾ ხშირად ბავში წარმოსთქვამს ხოლმე ამა თუ იმ ხმებს არა მისთვის, რომ მას უნდა მით რამე გვაცნობოს, არამედ მიტომ რომ ეს მას ესამოვნება. ²⁾ ეს არის ენა გრძნობითი (ЯЗЫКЪ ЭМОЦИОНАЛЬНЫЙ), რომელიც ზიარი გვაქვს ჩვენ ცხოველებთან. აქ ბავში ხატავს თავის სულიერ მდგომარეობას, გრძნობას. ხოლო სულ სხვაა ენა გონებითი (ЯЗЫКЪ РАЦИОНАЛЬНЫЙ); ეს არის განსაკუთრებით თვისება კაცის და ამ გვარი ენის გასაჩენი პირობების ახსნაც შეადგენს ჩვენს უმთავრესს მიზანს. ³⁾

¹⁾ Гейфлингъ. Очерки опытной психологии гл. 134.

²⁾ Гобчанский. Очерки психологии гл. 170.

³⁾ И. Тейл. Объ имѣ и посланин гл. 522.

როცა ბავში ხედავს ნივთს და იღებს შთაბეჭდილებას, მაშინ ნივთის სახე ბავშვს შეგნებაში (ВЪ СОЗНАНІИ) სტოვებს კვალს რამდენ ნივთსაც ხედავს ბავში იმდენ სხვა დასხვა შთაბეჭდილებას იღებს და იმდენი სხვადასხვა კვალი რჩება ბავშვის შეგნებაში. ამ გვარად ბავშვის შეგნებაში თავს იყრის რამოდენიმე ნივთის სახე; ანუ ნივთებისაგან მოხდენილი შთაბეჭდილების ნიშნები (СЛѢДЪ); აქვე ეწყება ბავშვს წარმოდგენილებითი ნიქი; ესე იგი როცა საგანია, რომელიც ახდენს ბავშვზე შთაბეჭდილებას, აღარ აქვს ბავშვს თვალისწინ, ბავში ინახავს შეგნებაში იმ საგნის სახეს და როცა განმეორდება შთაბეჭდილობა ბავშვი უწინდელ სულიერ მდგომარეობას იხსენებს და იმ საგანზე ერთი წარმოდგენა უჩდება მას; იმ საგანს ბავში შემდეგ არჩევს. სხვებისგან მაგ. ბავში აღრევე სცნობს დედას და აგრეთვე სახში მყოფებს ადვილად არჩევს გარეშე პირებისაგან. როცა ბავში იმორჩილებს ყრონტის ძარღვებს (მიახლოვებით როცა ორი თვისაა) ის დაინახავს თუ არა საგანს ანუ გაიგონებს თუ არა ხმას თვითონაც ცდილობს ამოაღოს ხმა და ხშირად კიდევ ამბობს რაღაცას. მიბაძვის კანონის ძალით ბავში ისე როგორც ველური, უმეტეს შემთხვევაში გაიმეორებს ხოლმე იმ ხმებს რომელიც ესმის. ¹⁾

(შემდეგი იქნება). **ბ. ჯაფარიძე**

ქართული გალობა.
რა მგომარეობაში იყო ქართული
გალობა წინათ და რა გდგომარეობაშია
შინა დღეს. *)

ახალმა „კომპოზიტორებმა“ ისე შეაძლეს მოწაფეებს ჩვენებური ხმები, რომ გასაგონად ეზარებათ. ამ 4 წლის წინათ, ქუთაისის ეპარქიალურ საქადებო სასწავლებელში მომცეს ქართული გალობის გაკვეთილები.

¹⁾ Тэйлоръ, Первобытная культура გვ. 160
 შეადარე И. Тэнъ ipid გვ. 818.
 *) იხ. შინ. საქმ. № 16.

ვფიქრობდი: აქ შრომას გამოაჩენს კაცი მეთქი: საზოგადოთ ქალებს სიმღერა-გალობის ნიქი აქვთ და მასთან ხმებიც ნახი. შრომას არ დავზოგავ და ვაჩვენებ ყველას, რომ ქართულ გალობაში იხატება ისეთი ჰანგები, რომელიც ქართველის ყურსა და გულს მოხვთება, როგორც მისი ერის ღვიძლი, გულის და სულის ნაყოფი, ნაწარმოები მეთქი, მარა ფიქრი ფიქრათ დარჩა და ფანტაზია ჩაქრა. აქ მისელამდი, რომ სრული, გარანტიას ქვეშ მყოფი გალობელი მეგონა ჩემი თავი და ვფიქრობდი გალობელი ვარ მეთქი, აქ ვიგრძნე, რომ გალობელი აღარ ვიყავი! რა იყო ამის მიზეზი?... მოწაფე ქალებმა ცალგვერდით დაუწყეს ჩემს გალობას ყურება! რაც რამ ვთქვევინე ყველაფერს წუწინ დასდევს. ანდრეი სიმონიჩი მასე არ გვასწავლიდაო, მაგ გალობა კაცების სათქმელი გალობაა და ქალების გალობა კიდევ სხვააო“. ბევრი უმტკიცე, რომ კაცებისა და ქალებისთვისაც გალობის კილო მიმოხვრა ერთია მეთქი, მარა ისინი მაინც თავის რწმენაზე დარჩენ. გალობის სრულიად უმეტრმა სასწავლებლის უფროსებმაც არ მიატკიცეს ამ ბავშვების ყალბ რწმენას ყურადღება და ერთ დღეს მე-6 კლასში ბავშვებმა პირდაპირ უარი მითხრეს: მაგ გალობას ჩვენ არ ვისწავლითო! ერთმა მოწაფემ, ლეჟავას ქალმა ისიც კი გამიბედა: შენ რომ გალობა იცი მაგისთანა გალობა, პრიეტნიკია მამაჩემი და იმინაც კი იცისო. მე უთხარი: ცთები შენ მეთქი, მამაშენმა თუ ჩემისთანა გალობა იცის, კი გალობელი ყოფილა მეთქი. ერთმა მისმა ამხანაგმა ჩაილაპარაკა: კი მოუა ისაკი ლეჟავას კი გალობელი ის იყოსო. ამის შემდეგ მე-6 კლასში სწავლებაზე უარი ვთქვი. ამ გარემოების გამოსარკვევით ყოვლად სამღვდელო ლეონიდე მობრძანდა სასწავლებელში. შებრძანდა მე-6 კლასში და გამოიკითხა მიზეზი მოწაფეთაგან გალობის სწავლის უარყოფისა. იმათ გაუმეორეს ჩემთან ნათქვამი მიზეზი. ყოვლად სამღვდელომ უბრძანა: ქართული გალობელი ეს არის და ამაზე უკეთეს გალობელს ვერ მოგიძებნითო და ვერც უკეთეს გალობას შეგიოხხავთო; აბა მიოხარით

თქვენ რანაირი გალობა გინდათ და როგორ სწავლობდით, ერთი იმათგანი მიგალობეთო. იმათ დაიწყეს: მამაო ჩვენო, რომელიც ახალფორმაზე იყო გამომცხვარი. დაიწყეს თუ არა, ყოვლად სამღვდელმომ შეაჩერა; უბრძანა, ხელახლა დაეწყოთ. კიდევ დაიწყეს და როცა ყოვლად სამღვდელმომ მოისმინა: მამა, მამა, მამაო ჩვენო, უბრძანა: ეს სადაური ქართული გალობააო! ამ გვარი ქართული გალობა თავის ღღეში არ მომისმენიაო; ვინ გაიგონა ამდენი მამა, მამა, მამაო ჩვენოვო? ვინ გასწავლათ ესაო?—ანდრეი სიმონიჩმა გვასწავლაო. აი იმას შეუტყვია თქვენი შეგნების სისუსტე და ამ გვარებით უსაზრდოებიხართო... კიდევ იგალობეთ რამეო, უბრძანა ყოვლად სამღვდელმომ. იმათ წმიდაო ღმერთო იგალობეს. მერმე ჰკითხა მისმა მეუფებამა: ეს გალობა მოგწონთო? მოგწონსო მოახსენეს. სადაურაა ეს გალობა, შეეკითხა მისი მეუფება. ეს კახური-ო.—მიუგეს. „მე-ნ კლასში ხართ და აი როგორ გეტყობათ შეუგნებლობაო, უბრძანა მისმა მეუფებამ; ეს მშვენიერი გალობა იმერულია და თქვენ არც კი იცით თუ რას გალობთ და რას სწავლობთო, უბრძანა ყოვლად სამღვდელმომ.“

აი ნაყოფი ახალმოდის „კომპოზიტორობისა“; უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, ქართული სიტყვების სლოვიანურ გალობის ხმებზე მოწერისა... (როცა ქუთაისის სემინარიაში გალობას ვასწავლიდი, მაშინდელმა „ყოფილმა ინსპექტორმა, ცნობილმა არხანგელსკიმ მითხრა პედაგოგიურ კრებაზე ერთხელ: გირჩევთ და უკეთესი იქნება, რომ ქართული სიტყვები მოუწეროთ რუსულ ხმებს, და უფრო ადვილათ დაისწავლიან შიწაფეებიო, ქართული სიტყვები ხომ იქნება და სხვა რა საჭიროა, სლავიანური ხმები უფრო საადვილოაო.) მე უთხარი ცოტა ღიმილით,—თუმცა ცეცხლი ამენტო გულზე: რუსული სიტყვები რომ მოუწეროთ ქართულ ხმებს, თქვენი სმენისთვის როგორი იქნება მეთქი? ჩვენ, ყურისთვისაც ასეა და ესეც რომ არ იყოს ხალხი რას იტყვის მეთქი? თუ ასეა, მე ხვალისა და მივტოვებ გაკვეთილებს და რუსული გალობის

მასწავლებელს გარდაეცით ჩემი გაკვეთილები, რადგან მაგ წებით, რუსული და ქართული გალობა ერთი და იგივე იქნება მეთქი. განსვენებულმა მაშინდელმა რექტორმა ბენიამენმა თქვა: Прекратите объ этомъ разговоръ пожалуйста, а вы о. Раждень მომიბრუნდა მე: продолжайте ваше занятие такъ какъ досихпоръ. არხანგელსკის გველური განზრახვა მაშინ ამითი შეწყდა, მარა მას მერე შინაური არხანგელსკები გაჩნდნენ, იმათ კი ადვილათ მოახერხეს, ის რაც არხანგელსკის ედვა გულში. ქართულ სიტყვებს უწერენ „ახალი კომპოზიტორები“ ნოტებს ქვეშ სლოვიანურ ხმებს და ქართული ხმების როგორც არა გაეგებათ რა, არც უნდათ. ან კი რათ უნდა იმტერიონ თავი ქართული ხმების შესწავლისათვის, ვის ესაჭიროება იგი და ან ვინ ითხოვს, რომ ქართული ხმები იცოდეს? ამას ხომ ცალკე სწავლა უნდა და სწავლას შრომა?! ვინ ყავს „კანტროლი“, რომ უუხრას; რას გალობ, რას ასწავლი მაგას ბოვშებს? ქართულია თუ თათრული ხმა ამგვარათ რომ ასწავლი. ვინ იცის კიდევ მასე სხვამ, რომ შენგან ნასწავლებლები გამოადგეს, სხვასთანაც თქვას?! იმიტომ მოგახსენეთ ბატონებო, ყველაფერს „კანტროლი ყავს და გალობას არა მეთქი. მე მოგახსენებთ და ყველა შეგნებულნი, საქმეში ჩახედული ქართველიც ასე იტყვის: თავთავის გემოზე ქართული გალობის ჯიჯგნას ყველამ თავი დანებოს, რადგან ჯერჯერობით იმის შენახვა და თავისი წინანდელი სახით გავრცელება ქართველთა შორის მიუცილებელია. რაც შეხება იმის ოთხ ხმაზე გადაკეთებას უნდა ქმედდეს მანემდის, სანამ ვინმე ქართველი კომპოზიტორი არ გამოჩნდება, რომელსაც ქართული გალობის უმთავრესი თვისებებიც ეცოდინება ან არა და სანამ შეგნებულნი კომისია არ დმიწყებს მუშაობას ამ საგანზე, არ მოიწვევს კონსერვატორიაში კურს დამთავრებულ ორ სამ პირს, რომელსაც თან უნდა ახლდეს ქართული გალობის კარგათ მცოდნე, რომ მან მკაცრი ყურადღება მიიქციოს, გააგებინოს დამწერს და დაიკუთნოს ქართული ხმების უმთა-

ერესი ღირსება—თვისებები, უამისოთ, ჩვენი გალობის გადაკეთება, კი არ იქნება, არამედ გადამახინჯება. ეს ჩვენ კარგათ ვიცით, მით რომ ბევრის ცდამ, ოთხ ხმაზე გადაკეთებისათვის, ის ნაყოფი მოიტანა, რომ ქართულ ხმებს, რაღაცა მეოთხე ხმის მომატებისთვის ყოველი გვერდით ფრთები შეაკვეცა, მიამგვანა ევროპიულ ხმებს, ამოაძრო სული, რომლითაც ქართულ ხმათ იცნობდა კაცი, ჩამოაცალა და დაგვრჩა ხელში უსულ-გულო მარტო ქართული სიტყვები, უადგილო ადგილს ხმის აწევ დაწევით (უღარენიებით).

იმერეთის ეპარქიალურ სამოსწავლო საბჭოს, ერთი ძალიან სასარგებლო და მოსაწონი განკარგულება უქნია. დაუდგენია: ყოველ წლიურათ 200 მანეთი გადადვას ქართული გალობის გასავრცელებლათ. ამ საქმისათვის მიუწვევიათ ი. ნიკოლაძე. საქმე დაწყებულია. მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში მიუციით ერთი ოთახი; აქ მოუყრია თავს მსურველებს, მეცადინეობენ აგერ ორ თვი ნახეყარია. სმქმე ძალიან კარგია და სიმპატიური, მაგრამ მე მაინც ვერ დავიჯერებ, რომ მათ (საბჭოს) გალობისათვის რამე ზრუნვა ედვათ გულში, მოესმათ იქეთ აქედან საყვედურები და ამ საყვედურების ასაცილებლათ კიდევ კარგი, რომ ეს წვლილი გაიმეტეს!.. რომ ასე არ იყოს, გალობისთვის, სამზრუნველოთ, ასე მალე არ შემობრუნდებოდა მათი გული მალე მეთქი ვამბობ იმისთვის, რომ სამღვდლოებამ წირვის წესი ნოტებზე დააბეჭდინა იმ მიზნით, რომ სკოლებში გავერცელებინათ ქართ. გალობა. მე წარუდგინე და ვთხოვე: ათ-ათი ცალი მაინც შეიძინეთ თითო სკოლისთვის მეთქი (თითო წიგნი 40 კ. ღირდა). ამისთვის ფულები არა გვაქსო მითრეს და ისეთი წრგნებისთვის, რომლებიც ფურცლებ გაუჭრელი აწყვია სკოლებში მუდამ, ფულებს ყოველთვის ხარჯვენ. მასწავლებლებს რომ ანწესებენ სამრევლო სკოლებში, რატომ არ ახოვენ მათ, იმდენი ნოტები მაინც იცოდენ რომ რამდენიმეთ მოახერხონ გალობის სწავლება ნოტებით? ყვეოა მასწავლებელს შეუძ-

ლია, ორი კვირის განმავლობაში, დღეში თითო საათის მეცადინეობით შეისწავლონ იმდენი, რომ ნოტებით შეძლონ გარდაცემა გალობისა. მაგრამ ვინ დაავალა სამრევლო სკოლის მასწავლებელი ამაზე?! აი გალობისათვის მზრუნველობა პატივცემული საბჭოსი! ყოველ შემთხვევაში 200 მანეთი წლიურათ გვარიანი თანხაა გალობის გავრცელებისთვის ამ უსულგულო ხანაში, თუ რომ ამ საქმეს მოთავე და ყურის მგდებელი ეყოლება. ნათქვამია: „ციხეს კარი უნდაო და კარს უკან კაციო“, და ვინ მიუჩინეს ამ საქმეს მოთავე და ყურის მგდებელი, გამოცდლი?! ბ. ნიკოლაძე აგერ ორი თვე და ნახევარია რაც მოწაფეებს ასწავლის და ვინ დახედა ერთხელ მაინც? ვის აქვს მინდობილი, რომ ყური უგდოს მის შრომას! აკეთებს რამეს თუ არა ყავს მოწაფეები თუ არა, რას ასწავლის და სხვა და სხვა. ი. ნ. ამ საქმისათვის, როგორც იარაღი, გამოსადეგია, მაგრამ მისი მოთავეობით მეცადინეობა, მისი მოსაზრებით საქმის მიყოლა სრულიად გამოუდგებარია. მაგას უნდა მიუთითო იმაზე რაც შეუძლია და ამეცადინო, შრომა შეუძლია და წირვის წესებიც იცის, რომლის გავრცელება ასე საქიროა ჩვენთვის დღეს. რაც მან არ იცის და არც აუცილებელ საქიროებას შეადგენს დღეს, არავინ დაავალებად მას და თუ ეს ასეა რა მიზეზია ამ ორ თვე ნახევარს მარტო ხუთ გალობას შეაჩერა ამოდენი მოსწავლე (სწავლის მსურველები ბევრ*)! ჯერ უფალო შეგვიწყალენ არ იციან და რა მიუცილებელი საქიროა წინდა წმინ ისწავლონხ „ნეტარ არს კაცი“, „აქებლით სახელსა უფლისასა“,*) „ნათელი მხიარული“ და ამ გვარები! მერე რამ აიძულა ი. ნიკოლაძე, რომ ამ რაღაც უცნობ ხმებს ასწავლის? ეს მოხსენებული გალობები არც ერთი ჩვენებური არ არის, არც ქართლ-კახურია და აბა ვისი ახალი თხუზულებაა

*) აქებლით სახელსა უფლისასა—მაინც ნამდვილ ტკრიბულ ალილოზე არის მიმგვანებული და ზოგიც ალიფაშას გავს და მისი ეკლესიაში თქმა ყოვლად მოუხერხებელია.

ნეტა? ერთი რომ ეს გალობები ჯერჯერობით ამ ახალი მოსწავლეებისთვის საჭირო არ იყო და თუ მას სჭიროდა, აგერ მის გვერდში მყოფს, რატომ არ მომაკითხა, რომ ქართული ხმები ცოდნოდა? მისთვის ბევრი მოსწავლე-ბია და ბევრიც ნოტებზე ჩემგან დაწერილი გალობები მიმიცია, როცა მას უთხოვია და ახლაც ხომ არ დაუქვრდი? თუ საძრახია ის რაც არ იცი სხვას ჰკითხო და შეიძინო მისგან! იქნება ბ. ნიკოლაძე ფიქრობს ჩემდამი მონდომილ საქმეში არ შემეცილოსო და ამან შეაყენა! ვარწმუნებ, რომ ეგ ფიქრი ჩემს გულში არ გაივლის და ამ საქმისთვის თვითონაც გამოსადგვია, რადგან ღონეც შეწევს და სწავლებაც შეუძლია; ჩემი სურვილია: ამ საქმეში გაურიო ჩემი რჩევა, ჩემი გამოცდილება და გირჩევა: ჯერ-ჯერობით წირვის წესი ასწავლოთ მსურველებს. ის წირვის წესი კი არა, რომელიც მე და ჩემმა ამხანაგებმა ბ. ქორიძეს დავაწერინეთ ნოტებზე, არამედ კილო, სადა და საადვილო ის გალობა რომელიც ჩვენ ქორიძესთან დავწერეთ, ისეთი კრიმანჭულიებით არის დაწერილი, რომ პირველ დაწყებისას, ჯერ სრულიად უცოდინარი და ხმა გაუტეხელი კაცისთვის მეტის მეტი ძნელია. ერთი, რომ ძალიან დიდხანს ვერ ისწავლის და მეორე არ შერჩება, ძალიან მალე დაავიწყდება. ეს რჩევა მე დამეჯერება როგორც ამ საქმეში გამოცდილს. ყოველი სწავლა ამგვარია; მაგალითებ: როცა წერას ასწავლიან, ჯერ მარტო ხაზების წერას აჩვენებენ, მერმე ნახევარ „ინს“, ან „ანს“, ასე ამგვარათ ნელ ნელა სხვა ასოებზე გადადიან, ბოლოს და ბოლოს ისე, გაუვარჯიშდებათ ხელი, რომ გაუწყვეტლათ წერენ სიტყვებს. როგორც სხვა ყველა საგნის სწავლება, ისეა, გალობაც. ჯერ კილო, სადათ სწავლა უნდა და როცა ხმის გაივარჯიშებს კაცი, მერმე კრიმანჭულითაც და გავარჯიშებულათაც იტყვის. ამას გარდა გუნდით თქმაში კილოს გალობა ძალიან ლამაზია. სამ კაცში, თითქმის გავარჯიშებულ გალობას ამჯობინებენ. ჩვენთვის მიუცილებელი საჭიროა გავარჯიშებით წირვის გალობა, რომელიც ყოველ

ეკლესიაში საჭიროა და ამას გავარჯიშებული გალობის, ნეტარ არს კაცი და ამ გვარი გალობის ჯიჯვანით ვერ გავარჯიშებთ. ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ: გალობა უნდა ვასწავლოთ კილოზე; როცა 10, 15, თუ გინდ მეტი მსურველი მოიყრის თავს, მაშინ, მოსწავლის მიღება უნდა შევაჩეროთ; ამით უნდა ვასწავლოთ მუყაითათ და 2 თვეს წირვის წესს ისწავლიან. ამის შემდეგ მეორე ჯგუფი უნდა მივიღოთ და ასე ამ გვარათ განვაგრძოთ შრომა. დღეს კი ასე არ გახლავთ, ზოგი მოდიან, რჩებიან ერთ კვირას და ისევ მიდიან. კიდევ, რიგი მოდის და რიგი მიდის. არიან კიდევ გალობის მოყვარულები, ძალიან სურვილაც აქვთ და ამათ რასაკვირველია, რომ მიმსვლელ წამსვლელები დააცთენს. ბოლოს. ბ. ი. ნიკოლაძეს ურჩევ: ამ ჩემს გამოცდილების შემდეგ მოსაზრებულ რჩევას ნუ გაღუხევს; მასთან, თავის თავზე ფანტაზიურათ დიდ წარმოდგენას თავი დაანებოს, რადგან ამგვარ ფანტაზიას დიდი მანძილი არ უდევს და გასავალი, მხოლოდ შეუგნებლებში აქვს. წირვის წესები იცის, ამაზე შრომა და გადაცემაც შეუძლია, მარტო ამას ჩაქიდოს ხელი. ჯერ ჯერობით მის მინდობილობასაც ეს შეადგენს. ნუ უკადრისობს მცოდნეს შეეკითხოს საჭირო შემთხვევაში და წმინდა გულით ვეტყვი: მე ჩემის მხრით რჩევას და დახმარებას არ დავმადლი, რადგან ჩემი წმინდა სურვილია: გალობა გავრცელდეს. შრომა და ფულები ტყვილა არ დაიკარგოს.

პატივცემული საბჭო, ამ მათგან ქმნილ განკარგულებასან, იმასაც ინებებდეს, რომ ვინმე გამოცდილ ყურის მგდებლებს მიუჩინდეს ამ საქმეს ძალიან კარგი იქნება. კიდევ ვიტყვი: „ციხეს კარი უნდაო და კარს უკან კაციო“, ასე უთქვამს ჩვენ ძველებს.

(დასასრული).

მლ. რ. ხუნდაძე.

კვირიდან კვირობამდე.

როგორც გავიგეთ, ამალღების მეორე კლასიანი სასწავლებლის ყოფილი გამგე მ. ზაქ. მკედლიძე, გადაყენებული ამ თანამდებობიდან ადგილობრივ საბჭოს გადაწყვეტილებით რაღაც დანაშაულობისათვის(?!), საოლქო საბჭოს გაუმართლებია და თავის ადგილზე დაუბრუნებია.

მ. ზაქარია მკედლიძე პირველი სხვერპლი არ გახლავთ საბჭოსა და მის ბატონების უსამართლობისა. ასე უსამართლოთ არის დათხოვნილი რამდენიმე დამსახურებული მასწავლებელი, რომელთაგან ზოგიერთს გასაჩივრებული აქვს საქმე საოლქო საბჭოში. რა ეშველებოდა ამდენ უდანაშაულოთ დასჯილს, რომ ხსენებული საოლქო საბჭო არ არსებობდეს?

ამავე საბჭოს დამნაშავეთ უცნია ამ სასწავლებლის მასწავლებლები და ყველანი დაუთხოვნია.

მეორე ხარისხის კერძო სასწავლებელი ბ. დ. ქუთათელაძისა ბ. მზრუნველის განკარგულებით პირველ ხარისხიდან სასწავლებლად იქმნა გადაკეთებული. ეხლა მოსწავლე აქვე დაამთავრებს რვა გიმნაზიურ კლასს და მზრუნველისაგან დანიშნულ დელეგატის თანდასწრებით სიმწიფის ატესტატზე ეკზამენს დაიქერს. ჩვენ ქუთაისში ჯერ პირველი მაგათია ასეთი სასწავლებელი და დიდ საკიროებისაც წარმოადგენს.

როგორც გავიგეთ, იმერეთის და გურია სამეგრელოს ეპარქიების საოლქო საბლადო-ჩინო კრებებს განაჩენები დაუდგენიათ და თხოულობენ „საექსარხოსოს მიუწყებელი“ სავალდებულო ნუ იქნება ეკლესიებისთვის, რადგან ერთი მხრით ბევრი ეკლესია ღარიბია და მეორე მხრით ქურნალი არაფერ საინტე-

რესოს არ წარმოადგენს თავის შინაარსით, ამასთანავე ფასი ზომაზე მეტი აძევსო.

უკანასკნელი იმერეთის სამღვდლოების კრების გადაწყვეტილება შესახებ ჯამაგირების განაწილებისა კონტორას დაურღვევია და ჯამაგირები დაუნაწილებია თანახმად ყოველად სამღვდლოს წარდგინებისა. საკიროა, სამღვდლოებამ მეტი წინ დახედულობა და საქმის დაკვირვება გამოიჩინოს, რომ ერთხელვე მონიჭებული უფლებები ხელიდან არ გაუშვას. დღემდის სამღვდლოება საყვედურს აცხადებდა, ჯამაგირები ქრთამით რიგდებოდა და დღეს, როდესაც მათ ხელში გადვინდა ეს საქმე, თავი ველარ გაართვის.

ყოველდღის სამღვდლო გურია-სამეგრელოს ეპარქიის ლეონიდის განკარგულებით გურიას უკვე ეფინება საეკლესიო გალობა. ამ ჟამად ცნობილი მგალობელი მელქისედეკ ნაკაშიძე ლანჩხუთში იმყოფება და მისი მეუფების კურთხევით გალობას ასწავლის მსურველთ. ამზონ მსურველების რიცხვი სამოცამდე აღისო. ვისურვებთ, რომ ამ საქმეს კეთილი ბოლო ჰქონდეს, რომ სამღვთო მსახურებისადმი ხალხის ხელახლა გაორკეცებული ძალით აღმდგარიყოს გურიის მკვიდრთა შორის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მეუფება დიდ ღვაწლს დასდებს ამ და სხვა სამღვთო-სარწმუნოებრივ საქმეებისათვის.

როგორც გავიგეთ, მის მეუფებას ყოველად სამღვდლო გიორგის თავის მხრით გამოძიება დაუნიშნავს დაპატიმრებულ გელათელ ბერმონაზვნების, ილარიონის და დოდოს საქმეზე. სწორედ რომ სასიხარულო ამბავია. საკიროა გავიგოს საზოგადოებამ, თუ რაში არიან დანაშაული ეს უბადრუკი ბერები, ან ვინ არის მიზეზი მათი უმართლოდ დასჯისა. მის მეუფებას

გამოძიება, მიუხედავად მოწაშეა მონასტრის არხანდრიტ ნესტორისათვის. მაგრამ ძვირფასი იქნებოდა, რომ იგი მინდობოდა არა ერთ პირს, არამედ მთელ კომისიას, რომ საქმეს მეტი ხმა ჰქონოდა, მეტი მიუდგომლობა დასჩინოდა. ყოველ შემთხვევაში დიდი მადლობის ღირსია მისი მეუფება ამ ბრძნულ და მნიშვნელოვან განკარგულებისათვის. იმედი გვაქვს, ნებას გვიბოძებს მისი მეუფება, რომ გამოძიების შედეგი გამოვაქვეყნოთ.

ცნობალი მღვდელი გძელიშვილი, რომელსაც ბრალდებოდა №570 მანეთის მითვისება თბილისის სანთლის ქარხნის თანხიდან, სამსაჯულოს გაუმართლებია, ხოლო ბრალდებულს პროტესტი განუცხადებია.

(Закавк.)

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ასკანის საზოგადოების მღვდელს მ. სარდიონ ჯინჭარაძეს ხუთი წლით აღეკრძალა ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრება. აგრეთვე მეთია, რაც ხსენებული მ. ჯინჭარაძე მოწამეთის მონასტერში იყო გამოგზავნილი პოლიტიკური დანაშაულობისათვის.

როგორც სარწმუნოთ გავიგეთ, სამღვდლოების აღრჩევა წესი მალე უნდა მოიხსოს.

მისმა მეუფებამ ყოველად სამღვდლომ გიორგიმ დაავალა სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობის გამგეობას ყოველ თვის დამლევს აცნობოს რამდენი ახალი წევრი მიემატა ძმობას და ვინ სახელდობრ. ამით მის მეუფებას უნდა შეიტყოს, თუ როგორ თანაუგრძნობს ამ სასარგებლო და საღვთო დაწესებულებას სამღვდლოება. გამგეობამ დაადგინა ასეთი ცნობა ყოველად სამღვდლო ლეონიდესაც გაეგზავნოს ხოლმე. ჯერ გურია სამეგრელოს სამღვდლოებისგან ერთი წევრიც არ ჩაწერი-

ლი ძმობის სიაში, გარდა პენსიონერ მღვდლის მ. გ. ძიმისტარაშვილისა. რით ვებხნათ ასეთი უგულობა საღვთო საქმისადმი?

ბილატეს განჩინება იესო ქრისტეს ჯვარქმის თაობაზე.

ბი სიტყვები განაჩენისა, რომელიც წარმოსთქვა ქვემო გალილიის მმართველმა, პონტოელმა პილატემ, რომელმაც მიუსაჯა იესო ნაზარეტელს ჯვარქმით სიკვდილი; ეს სიტყვები ყოფილა ამოქრილი სპილენძის ფიცარზე და დაცული კაზერტაში — ნეაპოლის მაზრაში: იმპერატორის ტიბერიის მეფობის მეჩვიდმეტე წელიწადს, მარტის თვის 25 დღეს, უწმიდეს ქალაქ იერუსალიმში, მღვდელთმთავრების ანნას და კაიაფას დროს, ქვემო გალილიის მაზრის მმართველმა, პონტოელმა პილატემ, გადაუწყვიტა იესო ნაზარეტელს ჯვარქმით სიკვდილი ორ ავაზაკთა შორის, თავის სამსაჯულოში თავმჯდომარეობდა რა და სხდომაზე მსჯელობის დროს იქონია რა სახეში, რომ მრავალ რიცხოვანი და საჯარო მოწმობა ხალხისა ამტკიცებს:

- 1) რომ იესო არს მატყუარი.
- 2) რომ ის აღაშუოთებდა ხალხს;
- 3) რომ ის სჯულის მტერიაო;
- 4) რომ ის თავის თავს ღვთის ძედ უწოდებს;
- 5) რომ ის ამტკიცებს, რომ ის არის მეუფე ისრაელისა;
- 6) რომ ის შევიდა ტაძარში ბრბოს თანხლებით;

რომელთაც ბზის ტოტები ეკირათ ხელში.

უბრძანებ პირველ არსს თავს, კვირილე-კორნელის, წაიყვანოს იგი თხემის ადგილზე (დასასჯელ ადგილზე). აღკრძალულია ყველასთვის ხელი შეუშალონ იესოს დასჯას.

იესოს წინააღმდეგ განჩინებაზე ხელი მოაწერეს: „დანიელ რობანი“ ფარისეველი, „იოქანან ზორობაბელი“, „რაფაილ რობანი“, „კაპრეტი“. „იესო იქმნება გამოყვანილი მოსავლელ ალაყაფის კარებიდან“.

პილატეს განჩინების ტექსტი ვიპოვე სულ სხვა რუსულ გამოცემაში და ამასთან იმასაც მოვიყვანე შესაღარებლად, თუმცა ერთი მეორისაგან სულ ცოტათი განიხივეიან).

პილატეს განჩინების ტექსტი (ნამდვილი წერილისა) იესო ქრისტეს შესახებ. ეს განჩინება, დაწერილი ებრაულ ენაზე და ამოკრილი სპილენძის პატარ-პატარა ფიჭვებზე, გაგზავნილ იყო ყოველ საზოგადოებაში. ერთი ამ ფიჭვითაგან იპოვნეს ქალაქ აკვილესში (ეხლანდელ აკვილიაში ჩრდილო იტალიაში, ვენეციიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ 25 ვერსის მანძილზეა. 1280 წელში რომის სიძველეთა ძებნის დროს. ეს ფიჭვი შემდგომში მოხვდა კარტეზიანთა ორდენის ბერების სამლოცველოში და მიიქცია ყურადღება ეგრედ წოდებულ მხატვრობა ხელოვნებათა კომისარებისა, რომელნიც იმყოფებოდნენ იტალიაში საფრანგეთის ჯართან.

კარტეზიანები შეევედრნენ ფრანგებს, ეს ფიჭვი მათთვის დაეტოვებიათ. მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. იმ დროს ფრანგთა კომისარებმა სიტყვა-სიტყვით გადათარგმნეს ზეწარწერა, რომელიც იყო ფიჭვზე და ძნელად საპოვნელ ნივთთა შემკრებმა გენონმა გააკეთებინა სწორეთიგეთივე ფიჭვი, რომელიც ნამდვილისაგან სრულიად არ განიხილდა.

22 სექტემბერს 1848 წელსა ექიმმა ტუმარმა, პირველმა ამცნო (ქვეყნიერებას) ამბავი ამ სიძველის აღმოჩენისა „კელსკის გაზეთში“. 22 სექტემბერს 1849 წელსა ის იყო გადაბეჭდილი რიესკის „Extra Blatt“-ის № 219-ში.

აი ტექსტი წარწერისა, რომელიც ამოკრილი იყო სპილენძის ფიჭვზე, რომელიც იპოვნეს 1280 წელში:

„განჩინება წარმოთქმული პონტოელ პილატეს, ქვემო გალილიის მმართველის მიერ იესო ნაზარეველის სიკვდილით დასჯაზე ჯვარცმით“.

„ტიბერიის მეფობის მეჩვიდმეტე წელიწადს და მარტის თვის 25 დღეს წმიდა ქალაქ იერუსალიმში მღვდელთმთავრების და მსხვერპლის შემწირველების ანნა და კაიაფას დროს“.

„ჩვენ, პონტოელი პილატე, ქვემო გალილიის მმართველი, სამსაჯულოს თავმჯდომარე, მიუსჯით იესო ნაზარეველს ჯვარზე სიკვდილით დასჯას ორ ავაზაკთა შორის, რადგანაც საზოგადო, საჯარო მოწმობა ხალხისა ამტკიცებს, რომ: 1) იესო მაცდუნელია.

2) აღმაშფოთებელია,

3) სჯულის მტერია.

4) სიკრუით უწოდებს თავის თავს ღვთის ძედ

5) და აგრეთვე ისრაელთა მეფედ.

6) დაშევიდა ტაძარში ბრბოს თან-ხელებით, რომელთაც ეკავათ ხელში ბზის ტოტები.

„უბრძანებთ პირველ ასის თავს, კვირილლეს, მიიყვანოს ის თხემის ადგილზე“. „სასტიკად აღუკრძალავთ როგორც ღარიბებს, ეგრეთვე მდიდარ მოქალაქეებს, იესოს დასჯის აღსრულების ხელის შეშლას“.

„მოწამენი, რომელთაც ხელი მოაწერეს განაჩენს, ჩვენ მიერ წარმოთქმულს იესოს შესახებ, არიან: 1, დანიელ რობანი ფარისეველი; 2, იონ ცორობაბელი; 3, რაფაილ რობანი და 4, კალიტ ლევიტელი“.

„იესო უნდა იქმნეს გაყვანილი ქალაქ იერუსალიმიდან სტრუენზის კარებით“.

არხ. ნებტორ.

ზატარა ქრისტიანი

მე ქრისტიანი ვარ!

მე ქრისტიანი ვარ, მიტომ რომ მრწამს იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ჩემთვის მოსრული ქვეყნად, ჩემთვის ტანჯული, ჯვარტყული, მოკლული და აღდგომილი, — მრწამს ღმრთილად ისე მოვიქცე, როგორც მან მიბრძანა. ბედნიერი ვარ, ქრისტიანი რომ ვარ! ყოველი ქრისტიანი კაცი ბედნიერია, მიტომ რომ იგი არ არის მხოლოდ კაცი ხორციელი, მხოლოდ კაცისაგან შობილი ბუნებრივი ჩამომავლობით, იგი ღვთისაგან შობილია მეორეთ, სულიწმიდისაგან განახლებული სულიერათ. „შობილი ხორცისაგან ხორცი არს, ხოლო, შობილი სულისაგან სული არს“, ამბობს ჩემი მხსნელი. სულისაგან ვიშვე მეც, როცა მოვიწოდებ. როგორც სულისაგან შობილს ნათლისღებით, მე მოცემული მაქვს ნიქი ხელახლა დავბრუნო ერთხელ დაკარგული სამოთხე, გავხდე შემკვიდრე სასუფეველისა, შევიქმნე მეფე ქვეყნისა. ეხლ? ჩემ თავისუფალ ნებაზე დამოკიდებული ჩემი ბედისწერა, ჩემი ბედნიერება და უბედურება. მე განახლებული კაცი ვარ. ყველა არა ქრისტიანი ძველი კაცია, მე ახალი ვარ, — ქრისტემ განმაახლა. ძველი კაცი ის არის, ვინც ნათლისღებით მეორეთ არ შობილია; იგი ხორცია, ხორცისაგან შობილი, იგი ადამის შვილია, მე კი ღვთისა ვარ, ქრისტეს მიერ ნაშვილები.

მიყვარს ქრისტე, ჩემი მხსნელი, ჩემი მფარველი, მიყვარს მით უფრო, რომ მასაც უყვარვარ მე, უყვარს ბავშვები. მას ყველა უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებით ბავშვები უყვარდა მათი უმანკობისა და სიწმიდისათვის. ერთხელ თურმე ქადაგების დროს მას ბევრი ხალხი ეხვია. დედებს ბავშვები მოეყვანათ საკურთხელობათ და სტილიობდნენ ხალხი გაერღვიათ, რომ ქრისტეს მიახლოებოდნენ. მოციქულები რისხვით აყენებდნენ მათ ღმრთილად ნებას მიახლოებოდნენ მას. ქრისტემ გულისწყრომით გადახედა მოციქულებს და უთხრა: „აიციდეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა ღმრთილად აყენებთ მაგათ!“ ე. ი. მიეცით ბავშვებს გზა, და ნურასოდეს ნუ დაუშლით მაგათ ჩემთან მოსვლას! შემდეგ აკურთხა თურმე ბავშვები. ბავშვებსაც ძალიან უყვარდა იესო. იმათ თავის გულის სიწმიდით იცოდნენ, რომ იგი იყო მხსნელი სოფლისა, ღმერთი ძლიერი. იცოდნენ და ამიტომ უგალობდნენ მას ოსანასა, როცა იგი დიდებით შედიოდა იერუსალიმში.

„მიეცით ბავშვებს გზა და ნურასოდეს ნუ დაუშლით მათ ჩემთან მოსვლას!“ — რა სამარადისო სიყვარული და მზრუნველობა იხატება ყრმებისადმი ამ მცირე შენიშვნაში: „ნუ დაუშლით ჩემთან მოსვლას!“ მხოლოდ ეხლა კი არა, ამ წამში, როცა დედებს მოუყვანიათ იგინი, არამედ შემდეგაც, როცა უნდა მოიყვანონ, ან მოვიდნენ და არა თუ მხოლოდ

ჩემ ქვეყნად ყოფნის დროს, არამედ შემდეგაც, როცა დიდებით ავმალდები, ყოველთვის სანამ ქვეყანაზე ბავშვები იქნებიან ნუ დაუშლით ნურასოდეს, თავისუფლად და დაუბკობლად მოვიდნენ ჩემთან, მაგისთანებისა სასუფეველი! ასეთია ნება მაცხოვრისა, მაგრამ დღესაც არიან ადამიანები რომლებიც გვიშლიან ქრისტესთან მისვლას; გვაბრკობენ, წინ გველობებინ, ათასნაირ მახეებს გვიგებენ, რომ დაგვიკარგონ მასთან მსვლელობა, დაგვარწმუნონ, რომ იგი უბრალო კაცი იყო, რომელსაც გაცილებით სჯობიან დღევანდელი ცოდლუტა სწავლულები. დიდი სიფრთხილედ გვკვირდება, რომ არ ვაგებთ ამ მახეში, არ დავკარგოთ ჩვენი მოყვარული, ჩვენი მაკურთხეველი, ჩვენი მხსნელი და მფარველი ქრისტე. საქირთა ზუგი ვაქციოთ ამ ჩვენ მტერ-მოყვარეებს, ვისმინოთ სამღვთო საუბარი და ვილოცოთ, რომ არ შევიდეთ განსაცდელში, რომ არ დავკარგოთ თვალთაგან თვალთ-შეუდგამი და უწმიდესი არსება ქრისტე....

ბედნიერი ვართ ყრმები! იგინი ღირსი გახდნენ ქრისტეს კალთაში ჯდომისა, მისი ხელდასხმისა და კურთხევისა! მაშინ საშობოთ ბავშვების კურთხევის დიდი სურათი მომიტანა, მე ის კედელზე მაქვს დაკიდებული ჩემ სამაცადინო სტოლთან და ყოველთვის სიამოვნებით და ცოტა სიხარბითაც შევყურებ და ვამბობ: ნეტა მეც იმ ბავშვებში ვერო, ნეტა მეც

მაშინ დავბადებულებიყავ, იქნებ ღირსი გავბადებოდი იესოს კალთაში ჯდომისა-მეთქი. რა ცოცხალი სურათია იესო ზის, გარს ხალხი ახვევია; ნახევრად ტიტლიკანა ბავშვები მისევიან იესოს და სიამოვნებით შესჩერებთან მის მოწყენილ სახეს (ამბობენ იესო ქრისტე არავის მოცინარი არ უნახავს და მუდამ მოწყენილობა ეტყობოდაო). ზოგი ფერხითი უზის, ზოგი კიდევ კალთაში; ერთი ბავში გულში ისე ნაირად ჩაჰკვრია, თითქოს მოცილებაც აღარ უნდაო. მასაც ცალი ხელი მისთვის მოუხვევია. ცალითაც კურთხევას აძლევს იქვე მდგომ თმა ხუჭუჭა ბიჭუნას. მეორე თითქო დედას ხელიდან უსხლტება და იესოსკენ მიისწრაფვის, მესამეს ხელები გაუშვრია, თითქოს ეხვეწება მეც მუხლზე დამისვიო, მეოთხე კიდევ დედას შესჩერება და იესოზე ყვავილებით სავსე ხელით უჩვენებს. ბედნიერები! მათ იხილეს, თვალთ შეხედეს იმას, ვინც მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა გამოიხსნა ცოდვისა და წყევლისაგან. ნეტავი თქვენ, ებრაელო ბავშვებო, ნეტავი თქვენ! მაგრამ ან კი რათ უნდა ვეხარებოდე იმათ? შოვა დრო, მეც ვიხილავ მას, ჩემ მხსნელს, ჩემ შაცხოვარს, ვიხილავ და საუკუნოდ შევეუერთდები მას, სამუდამოდ მასთან ვიქნები, სამოთხეში. თითონ მან ბრძანა, რომ ეს ქვეყნიური სიკაცხლე მომზადებაა საუკეთესო ცხოვრებისათვის, რომელიც დაიწყება სიკვდილის შემდეგო.

საკმარისია, ადამიანი ისე მოიქცეს, როგორც მე ვარიგებ, რომ მე შემეერთდეს და ჩემთან იცხოვროს სამუდამოდო. ამ იმედით პავლე მოციქულს გული უთქმიდა განსვლად ამ სოფლიდგან და ქრისტესთანა ყოფნად. ყველა, ვინც კი იწამებს ქრისტეს, მოინათლება და აღასრულებს მის მცნებებს. ყველა განურჩევლად, იხილავს მას და განიცდის იმ სიტკბობებს, რომელიც განიცადეს ებრაელთა ყრმებმა. მეგრე რა ადვილი შესასრულებელია მისი მცნებები! ადვილი შესასრულებელი და თანაც გამოსადეგი ამ ქვეყნადაც! გიყვარდეს მოყვასიო, ამბობს იგი, და ნუ უზამ იმას, რაც შენი თავისთვის არ გინდოდესო; იყავი მშვიდი, ნურავის განარისხებ და ნურც გარისხდებიო, ნურავის აეშლები და ეცადე აშლილებიც შეარიგოვო; სხვისი არაფერი შეგეხარბოს და არვის არაფერი წაართვაო; ჯაშუშობა არ გასწიო და ცალი არავის დასწამოვო; თუ რამე გაქვს მომეტებული, რაც შენთვის საჭირო არ არის, მიეცი მას, ვისაც არააქვსო; განსაკუთრებით პატივი ეცი დედ-მამას და ასიამოვნე მათ შენი კარგი ყოფაქცევითო; ღმერთი გახსოვდე, მისი გეშინოდეს და სხვა ვერას დაგაკლებსო; მისი სახელი ტყუილ უბრალოთ არ

მოიხსენიოვო და სხვა ამისთანები სულ კარგები და ადვილები რა ბედნიერი იქნებოდა ქვეყანა, რომ ყველა ვასრულებდეთ ამ სწავლას! სწორეთ რომ სამოთხე დამყარდებოდა ქვეყანაზე, სწორეთ მაშინ დადგებოდა დეთის სუფევა, რომელსაც ჩვენ ეთხოვლობთ „საუფლო ლოცვაში“ სიტყვებით: „მოვედინ სუფევა შენიო!“ სწორეთ მაშინ დადგებოდა ის ოქროს საუკუნე, რომელსაც გვიპირდებიან, ვითომ და ჩვენი, მეგობრები და ერთგულები, ქრისტეს უარყოფლები, რომლებიც სიმძულვარეს, ერთმანეთზე ამხედრებას ქადაგობენ, და ამით ლამობენ ძმობა-ერთობის დამყარებას. მიკვირს, რათ არ გვესმის, რომ სიმძულვარე სიყვარულს ვერ დამყარებს და ვერც ერთმანეთის შტრობა და გადაკიდება ძმობა-მეგობრობას? რომ ასე ყოფილიყო, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, განა მაცხოვარი არ მიმართავდა ამ საშუალებას? არა, მხოლოდ სიყვარული შობს სიყვარულს და ერთობას. მხოლოდ ქრისტეს მცნებათა შესრულება დაამყარებს ამ ქვეყნადაც სასუფეველს და იმ ქვეყნადაც გვაღირსებს მის ნახვას. ამიტომ უნდა ვეცადოთ შევიწყნაროთ იგინი. მეც ვცდილობ და ვეცდები, რომ ჩემი სიკაცხლე ქრისტეს სასიამოვნოთ გავატარო მისი მცნებების აღსრულებაში, რომ ღირსი გავხდე მისი ხილვისა, რასაც თქვენც გისურვებთ, ჩემო ძვირფასო ამხანაგებო!

მადლობის გამოცხადება.

იმერეთის ეპარქიის სოფ. ივანდიდის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული უღრმეს მადლობას უცხადებს ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც თავის შემოწირულებით დახმარება გაუწიეს ხსენებულ ეკლესიას. აი სიაც შემომწირველთა და რაოდენობა შემოწირულებისა:

- 1, დიმიტრი კიპოთესძე ტაბიძემ ბაირაღები, ღირებული 50 მან.
 - 2, კოსტა ანტონისძე მაქარაძემ კანკელი(?) ღირებული 68 მან. 64 კობ.
 - 3, ივლიანე ნეოფიტესძე ტაბიძემ საცეცხლურის ფასად 25.
 - 4, მეუღლა დარისპან კუჭუხ-ძისამ ნინო იესე ქუთათელაძის ასულმა ორი დიდი შანდალი.
 - 5, გიორგი პეტრესძე მაქარაძემ ორი დიდი შანდალი.
 - 6, ქვრივა თეოდოსია ქუთათელაძისამ სახარების განსაახლებელად 8 მანეთი.
 - 7, იაკობ, ბათლომე და ბესარიონ მაქარაძეებმა ტრაპეზის შესამოსელი ფარჩა.
 - 8, მეუღლა ფილიპე პეტრესძე მაქარაძისა ნიფოლოზამ 10 მანეთი
 - 9, ქვრივა ეფროსინე ალექსი დავითისძე ტაბიძისამ 10 მან.
 - 10, ანტონ თედოროსძე გარდავაძემ 10 მან.
 - 11, თედორე მენაბდის ასულებმა ელენა და კესარიამ თავიანთი ნახელავი ნოხი ზომიო ექვსი არშინი.
 - 12, კოსტა ვასილისძე მებუკემ 25 მან. ივანდიდის
- წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ანდრია აღმაია.

რედაქციის პასუხი.

აღ. ენგურისპირელს და ამ ჩ.-ძეს—თქვენი ლექსების არც გასწო რება შეიძლება და არც დაბეჭვდა. კარგი იქნება მოგვაწვდიდეთ წერილებს სოფლების და სკოლების ცხოვრებიდან. ასეთი მუშაობა უფრო ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იქნება.

ბ. გნატოს.—ვერც თქვენ ლექსებს ვბეჭდავთ მათი სისუსტისა გამო. თქვენც გთხოვთ რაიმე სოფლის სამღვდლოებ-ს, მასწავლებლების და ხალხის ზნეობა-სარწმუნოებრივ მღვდმარეობაზე მოგვაწოდოთ რამე.

საზოგადოთ ყველას ვთხოვთ, ლექსებს ნურავინ უგზავნის რედაქციას, რადგან ასეთები იშვიათად იბეჭდებიან.

რედაქცია წერილების უკან დაბრუნებას არ ღებულობს თავზე.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

განცხადება.

„შინაური საქმეების რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

- 1, წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
 - 2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა — — — 5 კაპ.
 - 3, ქრისტე ღმერთიაჟ — — — 10 კაპ.
 - 4 ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში — — — 10 კაპ.
 - 5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — — — 10 კაპ.
- ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს მანეთზე აბაზი დაეთმობა.

